ზურაბ ბრაგვაძე

(1961 – 2023)

განუზომელია ცნობილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის, პროფესორ ზურაბ ბრაგვაძის ღვაწლი და დამსახურება კავკასიის უნივერსიტეტის წინაშე. იგი 2011 წლიდან ეწეოდა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი არქეოლოგიური ექსპედიცია.

ზურაბ ბრაგვაძემ დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1992 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. პარალელურად, მუშაობა დაიწყო შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სადაც 2004 წლამდე მუშაობდა ჯერ როგორც მეცნიერ თანამშრომელი, შემდეგ წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, სწავლული მდივანი, წინა ქრისტიანული ხელოვნების ხელოვნებისა და არქეოლოგიის განყოფილების გამგე და სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ზურაბ ბრაგვაძე 2004-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, 2007 წლიდან კი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში - ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ცენტრში მეცნიერ თანამშრომლად; 2012-

2013 წლებში იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, 2013-2015 წლებში სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, 2017 წლიდან საქართველოს არქეოლოგიური კომისიის წევრი იყო. ამავდროულად 2011 წლიდან ზურაბ ბრაგვაძე კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორია, სადაც აქტიურად მოღვაწეობდა 2023 წლის ბოლომდე.

ზურაბ ბრაგვაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწოდა ასევე ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში ჯერ დოცენტის, შემდეგ პროფესორის პოზიციაზე. ამავე ინსტიტუტში იყო საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი და სამეცნიერო საბჭოს წევრი. როგორც მოწვეული ლექტორი თანამშრომლობდა აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან.

რაც შეეხება ზურაბ ბრაგვაძის არქეოლოგიურ საქმიანობას, ის 1981-2021 წლებში აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ექსპედიციაში. მათ შორის იყო: ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიაცია, საირხის, რგანის, ჩხარის, სკანდეს ციხის, ღვანკითის, ძევრის, სვერის ციხის, ითხვისის, დილიკაურის, არმაზისხევის, ჭიათურის, აღმოსავლეთ კოლხეთის, ყვირილის ხეობის, ბორჯომ-ახალციხის, თერჯოლის, ზესტაფონის, მცხეთის, თელავის, შიდა ქართლის, ლეჩხუმის (ხვამლის) არქეოლოგიური ექსპედიციები. ზურაბ ბრაგვაძე აქტიურ არქეოლოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე და ამ პერიოდში ათზე მეტ ექსპედიციას უხელმძღვანელა.

მისი ხელმძღვანელობით ბოლო არქეოლოგიური გათხრები 2021 წელს საჩხერეში, თოდაძის ციხეზე ჩატარდა. ასევე, აღსანიშნავია, ტაბახმელის #4 სანგრის არქეოლოგიური გათხრები 2017 წელს. ექსპედიცია ზურაბ ბრაგვაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა და გამორჩეულია იმით, რომ ეს იყო საქართველოში ბრძოლის ველის არქეოლოგიური შესწავლის პირველი შემთხვევა. გათხრების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტები ასახავს 1921 წლის თებერვალში ქართველი ჯარისკაცების ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიას.

არქეოლოგიური ექსპედიციების ფარგლებში, ზურაბ ბრაგვაძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, ამავდროულად იყო მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) წევრი.

ზურაბ ბრაგვაძის კვლევის ძირითად ინტერესს წარმოადგენდა კოლხეთისა და იბერიის არქეოლოგიის პრობლემები, კოლხეთის სამეფოს გენეზისის პრობლემა, ურთიერთობები აქემენიდურ ირანთან, რომის იმპერიასთან, მმართველობის სისტემა კოლხეთსა და იბერიაში. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიის, ისტორიისა და კულტურის სფეროში: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ ენებზე. მათ შორის 5 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ბრაგვაძე იყო არქეოლოგიის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოს ავტორი. 1986-2023 წლებში მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო სიმპოზიუმში ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, პოლონეთში, უნგრეთში, უკრაინაში, რუსეთში, ყაზახეთში, სომხეთში, ირანსა და თურქეთში.

ზურაბ ბრაგვაძე ასევე იყო არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო და სამეცნიერო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე, ასევე, სამეცნიერო ჟურნალების - "არქეოლოგიური ჟურნალის" მთავარი რედაქტორი; ხელოვნების მუზეუმის „ნარკვევების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი; სამეცნიერო ჟურნალის "იბერია-კოლხეთის" სარედაქციო საბჭოს წევრი.

ზურაბ ბრაგვაძე ჩართული იყო საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის კავკასიის უნივერსიტეტში Erasmus+ ჟან მონეს პროექტში, ასევე გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით განხორციელებული „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი“ (COBERM) პროექტებში, რითაც აქტიური როლი ითამაშა უნივერსიტეტის მესამე მისიის შესრულებასა და მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების მხარდაჭერაში კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის მიზნით. 2022 წლიდან როგორც კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი ჩართული იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში „საქართველო იმპერიების გზაჯვარედინზე: პოლიტიკა, საზოგადოება, დრო, საქართველოს ინტეგრაციის ნარატივები”

პროფესორი ზურაბ ბრაგვაძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, ინტელექტით, პროფესიონალიზმითა და კეთილშობილებით. იგი დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

Zurab Bragvadze

(1961 – 2023)

Immeasurable are the merits and contribution of a famous historian and archaeologist, Professor Zurab Bragvadze to Caucasus University. Since 2011, he was engaged in intense educational and research activities and led a number of archaeological expeditions.

Zurab Bragvadze graduated from Tbilisi Iv. Javakhishvili State University in 1992, Faculty of History. After defending his candidate's thesis was awarded the degree of Candidate of Historical Sciences. He started working at Sh. Amiranashvili State Museum of Art, where until 2004, was employed as a researcher, as the leading scientist, learned secretary, and the head of the Department of Pre-Christian Art and Archeology and served as a member of the Scientific Council.

From 2004 to 2007, Zurab Bragvadze worked as a leading specialist in the Education, Science, Culture and Sports Committee of the Parliament of Georgia, and from 2007 as a scientist in the National Museum of Georgia - Otar Lortkifanidze Archaeological Research Center. In 2012-2013, he was the deputy director of the National Center for Education Quality Enhancement. From 2013 to 2015, he was the chief scientific consultant at the Shota Rustaveli National Science Foundation. In 2017 he was a member of the Archaeological Commission of Georgia. Simultaneously, from 2011 until the end of 2023, was a professor at Caucasus University.

Zurab Bragvadze was also called to teach at the State Institute of Economic Relations, first as a docent, then as a professor. He was the dean of the Faculty of International Business and was a member of the scientific council of the same Institute. As a guest lecturer, he collaborated with Ap. Kutateladze Tbilisi State Art Academy and St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

As for the archaeological pursuits of Mr. Zurab Bragvadze, he was engaged in intense archaeological work for more than 40 years and led more than a dozen archaeological expeditions: Zhinvali, Sairkhe, Rgani, Chkhari, Skande Castle, Ghvankiti, Dzevri, Sveri Castle, Itkhvisi, Dilikauri, Armaziskhevi, Chiaturi, East Kolkheti, Kvirili Gorge, Borjom-Akhaltsikhe, Terjola, Zestafoni, Mtskheti, Telavi, Shida Kartli and Lechkhumi (Khwamli).

Under his leadership, the last archaeological excavations were carried out in 2021 at Todadze Castle in Sachkhere. Archaeological excavations of 2017 of Tabakhmela trench #4 conducted under his supervision deserve a special mention as it was the first archaeological study of the battlefield in Georgia. Artifacts discovered reflect the history of the fight of Georgian soldiers against the Bolshevik occupation in February 1921.

Within the framework of archaeological expeditions, Zurab Bragvadze actively cooperated with the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia. He was also a member of the International Council of Museums (ICOM).

The main interest of Zurab Bragvadze's research was the problems of the archeology of Colchis and Iberia - the problem of the genesis of the Kingdom of Colchis, relations with Achaemenid Iran, the Roman Empire, and the system of governance in Colchis and Iberia. He published more than 100 scientific works in the archaeology, history and culture of Georgia and the Caucasus in Georgian, Russian, English, French, and Polish languages. His works include 5 monographs and 2 textbooks. Zurab Bragvadze is the author of the first Georgian-language archeology textbook. From 1986 to 2023, he participated in various international symposia in England, Germany, France, Italy, Spain, Poland, Hungary, Ukraine, Russia, Kazakhstan, Armenia, Iran and Turkey.

Zurab Bragvadze was also a member and chairman of the organizing and scientific council of a number of international scientific conferences, as well as the editor-in-chief of scientific journals "Archaeological Journal"; Member of the editorial board of "Essays" of the Museum of Art; Member of the editorial board of the scientific journal "Iberia-Kolkheti".

Zurab Bragvadze was involved in international projects, including the Erasmus+ Jean Monnet project at Caucasus University, as well as the "Confidence-Building

and Early Response Mechanism" (COBERM) projects supported by the United Nations Development Program (UNDP) and the European Union (EU), thereby playing an active role in the third mission of the university and, in supporting civil society initiatives for conflict prevention and peace building. Since 2022, as a professor at Caucasus University, he was involved in the project "Georgia at the Crossroads of Empires: Politics, Society, Time, Narratives of Georgian Integration" funded by the Black Sea International University Rustaveli National Science Foundation.

Professor Zurab Bragvadze was distinguished by his diligence, intelligence, professionalism and generosity. He enjoyed well-deserved authority and love among colleagues and students.